

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია გირავნობისას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად იმ ნივთებისა და არამატერიალური სიკეთის გამოყენება რომელსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). პრაქტიკამ ცხადყო აღნიშნული ნორმის ეფექტურობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მსგავსად დარეგულირდეს სამომავლო ქონების დატვირთვის საკითხი იპოთეკის შემთხვევაშიც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია იპოთეკით ქონების დატვირთვის მსურველ პირს მიეცეს შესაძლებლობა დადოს იპოთეკის ხელშეკრულება სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს იპოთეკით იმ უძრავი ქონების დატვირთვის შესაძლებლობას, რომელსაც მესაკუთრე შეიძენს მომავალში. სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება გახდება მისი შეძენისთანავე და იპოთეკის უფლებათა რეგითობა განისაზღვრება უფლების რეგისტრაციის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდაია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდაია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.